

გენერალური აუდიტორის მოხსენება

წარმოგიდგენთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ანგარიშს.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, სამსახურმა, თავისი საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების, საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და საჯარო სექტორში შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით. უკანასკნელი წლების განმავლობაში სამსახური ჩამოყალიბდა თანამედროვე უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციად, რომელიც ატარებს რისკზე დაფუძნებულ აუდიტებს და გასცემს შედეგზე ორიენტირებულ რეკომენდაციებს.

2016 წელს სამსახურმა აუდიტები ჩაატარა ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ისეთ სფეროებში, რომლებიც საბიუჯეტო სახსრების მოცულობიდან გამომდინარე ხასიათდება მომეტებული რისკებითა და მაღალი საზოგადოებრივი დაინტერესებით. შესწავლილ იქნა ისეთი სექტორები, როგორებიცაა, ჯანდაცვა, განათლება, თავდაცვა, ინფრასტრუქტურა, გარემოს დაცვა, ეკონომიკა და სხვა სფეროები. სულ სამსახურმა ჩაატარა 71 აუდიტი (10 ეფექტიანობის, 35 ფინანსური და 26 შესაბამისობის აუდიტი), რამაც ჯამში მოიცვა 10.3 მილიარდი ლარის ხარჯი. ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილმა დარღვევების საერთო მოცულობამ 71 მილიონი ლარი შეადგინა. მათ შორის:

- შესყიდვების მართვის მიმართულებით არსებული ხარვეზების მოცულობამ შეადგინა 32 მილიონ 8 ათასი ლარი;
- საბიუჯეტო რესურსების მართვის მიმართულებით - 33 მილიონ 4 ათასი ლარი;
- აქტივების მართვის მიმართულებით - 5 მილიონი ლარი.

აღნიშნული ხარვეზების გამოსაწორებლად გაიცა 189 რეკომენდაცია. ამ დროისათვის შესრულებულია რეკომენდაციების 47%. მათ შორის, რეფორმებზე და სისტემის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი მხოლოდ 22%-ია. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ აუდიტორული საქმიანობის სარგებელი არ გამოიხატება მხოლოდ რეკომენდაციების გაცემაში, არამედ - მათ შესრულებაში. როგორც წარმოდგენილი სტატისტიკა ცხადყოფს, რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი არ არის მაღალი და მისი გაუმჯობესება საჭიროებს მეტ ძალისხმევას.

2016 წელს სამართალდამცავ ორგანოებთან გადაიგზავნა 27 აუდიტის ანგარიში და შესაბამისი მასალები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, 2016 წელი გამოირჩეოდა არაერთი მნიშვნელოვანი წარმატებით, კერძოდ:

- სამსახურმა წარმატებით შეასრულა და ასრულებს ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას;
- ბოლო სამი წლის განმავლობაში, ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების პროგრამით ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულების შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართა 5 (4.9) მილიონ ევრომდე; მათ შორის, 2016 წელს - 1.9 მილიონი ევრო.
- გასულ წელს სამსახურის მიერ მომზადებული საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტი აისახა კონსტიტუციის პროექტში, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა სას-ის, როგორც უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და შენარჩუნებისთვის.
- 2016 წელს აუდიტის სამსახურმა შექმნა მსოფლიოს მასშტაბით უნიკალური და ინოვაციური ელექტრონული ვებ-პორტალი - „ბიუჯეტის მონიტორი“, რომელიც პარლამენტარებს, ექსპერტულ წრეებსა თუ ნებისმიერ დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას ერთ სივრცეში, მარტივად აღქმადი ვიზუალიზაციების გზით ხელი მიუწვდებოდეს ინფორმაციაზე საჯარო რესურსების მართვის თაობაზე;
- 2016 წელს არსებითად გაძლიერდა თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და გაიზარდა სამსახურის ჩართულობა არაერთ საერთაშორისო პროექტში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა კიდევ უფრო გააღრმავა თანამშრომლობა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო და რეგიონულ გაერთიანებებთან (INTOSAI, EUROSAI, ASOSAI). აღნიშნულ ფორმატებში ჩვენი მონაწილეობით დამტკიცდა სახელმწიფო ვალის აუდიტის საერთაშორისო სახელმძღვანელო, შემუშავდა კორუფციასთან ბრძოლის გლობალური პროგრამა და მიმდინარეობს შესაბამისობის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავება;
- 2016 წელს აუდიტის სამსახურმა ამერიკის უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციასთან დაიწყო თანამშრომლობა საქართველოში ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის განვითარების მიზნით. ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის მიმართულების ხელშესაწყობად, სამსახურმა გასულ წელს შექმნა IT აუდიტის სამსახური, რომელიც დაკომპლექტებულია საერთაშორისო სერტიფიკატების მფლობელი პროფესიონალებით;

- სამსახურის საქმიანობამ საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის კუთხით საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე მაღალი შეფასება დაიმსახურა;
- აუდიტის ხარისხის გაზრდის მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯია აუდიტის მართვის ელექტრონული ინტეგრირებული პროგრამის დანერგვა, რომლითაც სარგებლობენ მსოფლიოში მოწინავე აუდიტორული ორგანიზაციები.

მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას დონორი ორგანიზაციების წვლილს სამსახურის პროფესიული და ორგანიზაციული განვითარების კუთხით. ბოლო წლების განმავლობაში საფუძველი ჩაეყარა და წარმატებით განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები, მათ შორის: მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტი „აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა“ და „IT აუდიტი განვითარება“, და ასევე, ევროკავშირის „დამძობილების“ (TWINNING) ორწლიანი პროგრამა, რომლის ფარგლებში, გაძლიერდა სამსახურის როგორც ორგანიზაციული, ასევე, აუდიტორული საქმიანობის მიმართულებები. ამჟამად, დაწყებულია ევროკავშირის ახალი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სამსახურის ტექნიკურ დახმარებას და შესაძლებლობების ზრდას.

სამსახურის ინსტიტუციური და პროფესიული წინსვლა, არც გარე დაინტერესებული მხარეებისთვის დარჩენილა შეუმჩნეველი; უკანასკნელ წლებში, აუდიტის სამსახურმა მოიპოვა საერთაშორისო აღიარებები:

- საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ პოლიტიკური ფინანსების საკითხის მოწესრიგების/მონიტორინგის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა;
- ბიუჯეტის ზედამხედველობის კუთხით „ღია ბიუჯეტის ინდექსში“ სახელმწიფო აუდიტის სამსახური მოხვდა მსოფლიოს საუკეთესო უმაღლეს აუდიტორული ორგანიზაციების სიაში (100/100 ქულით);
- დღეს, საერთაშორისოდ აღიარებული და ანგარიშგასაწევი ორგანიზაციები, როგორცაა, მაგალითად ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელი (OECD-ACN), ციტირებენ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნებს სხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული რეფორმების შესაფასებლად;
- დაბოლოს, ადგილობრივ დონეზე, სას აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალე ორგანიზაცია, რასაც ცხადყოფს უკანასკნელ წლებში მოპოვებული

ჯილდოები საჯარო ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის.

უკანასკნელ წლებში განხორციელებულმა ცვლილებებმა დადებითი როლი ითამაშა სამსახურისა და პარლამენტის ურთიერთთანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებაში. კერძოდ, ორი ინსტიტუციის გაძლიერებული კომუნიკაციის მაგალითია საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ფარგლებში შექმნილი აუდიტის ანგარიშების განმხილველი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ყოველწლიურად განიხილავს და აანალიზებს კონკრეტული აუდიტის შედეგებსა და აუდიტის ობიექტებს მოუწოდებს რეკომენდაციების შესრულებისკენ.

თუმცა, წარმატებების კვალდაკვალ, სამსახური დგას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე, რომელთა გადაჭრაც როგორც შიდა ორგანიზაციული განვითარების გზით, ასევე, პარლამენტთან და აუდიტის ობიექტებთან მჭიდრო თანამშრომლობასა და ერთობლივ ძალისხმევას საჭიროებს:

- სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი სასურველზე დაბალია; სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია პარლამენტის მხრიდან ჩართულობის გაზრდა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესში;
- აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტში გათვალისწინებულია სას-ის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერება, თუმცა გარკვეული მიმართულებებით, მანდატისა და ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვებმა, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სას-ის მიერ საჯარო ფინანსების განკარგვის სფეროში ყოვლისმომცველი რწმუნების წარდგენასთან დაკავშირებით.
- სას-ის აუდიტორული საქმიანობის ერთ-ერთი გამოწვევაა, გაზარდოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი. აღნიშნული გულისხმობს, არა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის თანხობრივ, არამედ სექტორული დაფარვის გაუმჯობესებაც, რაც სამსახურის მხრიდან მოითხოვს ინსტიტუციური შესაძლებლობების მუდმივ გაძლიერებას.

2016 წლის საქმიანობის ანგარიშში სრულფასოვნად არის წარმოდგენილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გასულ წელს განხორციელებული ყველა აქტივობა, რომლიც პირდაპირ თუ ირიბად ხელს უწყობს სახელმწიფოს განვითარებას.